საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის უნივერსიტეტი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. ბათუმი 11 ოქტომბერი, 2013 წელი

პრეამბულა

საქართველოში უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში მიმდინარე რეფორმების ძირითადი პრინციპების, აკადემიური პროგრამების ხარისხის ამაღლებისა და დაახლოების პრაქტიკული განხორციელების მიზნით სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი და საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის უნივერსიტეტი თანხმდებიან თანამშრომლობაზე სასწავლო-შემოქმედებით და სამეცნიერო-კვლევით საკითხებში.

ურთიერთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- აკადემიური განათლების შემოქმედებითი და სამეცნიერო კვლევისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტურად გამოყენებას;
- აკადემიური პროგრამების თავსებადობას კურიკულუმის კონსტრუირების, სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების ჩარჩოს ფარგლებში;
- სასწავლო-შემოქმედებითი ბაზების ერთიანი ქსელის შექმნას;
- საშემსრულებლო და თეორიული მიმართულების სპეციალისტთა მიერ კონსულტაციების, მასტერკლასებისა და სხვა სასწავლო-შემოქმედებითი მუშაობის ჩატარებას;
- პროფესიული დონის ამაღლებაში, სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის გაზრდაში და საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაციისათვის ხელშეწყობას;
- ცალკეულ მიმართულებებში ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებასა და განხორციელებას.

მუხლი 1

1.1. მხარეები ორმხრივი ინტერესების შესაბამისად აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას განათლების, კვლევის, შემოქმედებითი პროექტების დაგეგმვისა და აუცილებელი რესურსების მოზიდვისათვის.

1.2. თითოეული მხარის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს უნივერსიტეტების პროფესორები და სასწავლო-შემოქმედებით პროექტებში ჩართული სტუდენტები გამოიყენებენ უსასყიდლოდ.

1.3. მხარეები გაუწევენ ერთმანეთს კონსულტაციებს და განახორციელებენ ერთობლივ სასწავლო-შემოქმედებით პროექტებს.

1.4. მონაწილეობას მიიღებენ ჰუმანიტარული მიმართულების სამაგისტრო ნაშრომების ექსპერტიზაში.

1.5. საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში უზრუნველყოფენ პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომლებისათვის სემინარების ჩატარებას ახალი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების მეთოდიკის საკითხებზე.

1.6. განახორციელებენ ერთობლივ სამეცნიერო სემინარებს, კონფერენციებს, ფესტივალებს, საკონცერტო წარმოდგენებს, სხვა შემოქმედებით პროექტებს.

1.7. უზრუნველყოფენ ბიბლიოთეკებით სარგებლობის ხელმისაწვდომობას.

მუხლი 2

2.1. წინამდებარე შეთანხმებაში თითოეულ მხარეს შეუძლია ცვლილებებისა და დამატებების შეთავაზება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

2.2. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არაა განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირედება ორმხრივი შეთანხმებით.

2.3. მხარეები აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ ისინი უპირობოდ, სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობას.

მუხლი 3

3.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციების და მოლაპარაკების გზით.

3.2. ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

3.3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირი გადაეცემა მხარეებს.

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის
უნივერსიტეტის რექტორი, არქიმანდრიტი ადამ ახალაძე

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ერმილე მესხია

თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. № 68
ტელ: 210-23-15; 210-23-14
ელ. ფოსტა: info@king-tamar.net
ვებ-გვერდი: www.king-tamar.net

ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. № 37
ტელ: 593325796; 279895
ელ. ფოსტა: info@batu.edu.ge
ვებ-გვერდი: www.batu.edu.ge